საქართველოს მთავრობის

დადგენილება №309

2024 წლის 23 სექტემბერი

ქ. თბილისი

„ზოგიერთი კატეგორიის მოსამსახურეთა ამომრჩეველთა სპეციალური სიის შედგენისა და საოლქო საარჩევნო კომისიისათვის წარდგენის, აგრეთვე მათი არჩევნებში მონაწილეობისათვის სათანადო პირობების შექმნის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 აგვისტოს №410 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **„ზოგიერთი კატეგორიის** მოსამსახურეთა ამომრჩეველთა სპეციალური სიის შედგენისა და საოლქო საარჩევნო კომისიისათვის წარდგენის, აგრეთვე მათი არჩევნებში მონაწილეობისათვის სათანადო პირობების შექმნის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 აგვისტოს №410 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, **24/08/2016,** 010190020.10.003.019475) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-5 მუხლის:

1. პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სამხედრო სამსახურში გაწვევის შედეგების გათვალისწინებით – კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-11 დღისა.“.

2. მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სამხედრო სამსახურში გაწვევის შედეგების გათვალისწინებით – იწყებს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-13 დღისა და ასრულებს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-12 დღისა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**